გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2011 წლის 30 მარტი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) სავალდებულოა ამ დადგენილების №1 დანართში მითითებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების ცოდნა;

გ) უცხო ენების ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;

დ) საოფისე პროგრამების ცოდნა და ინტერნეტის მოხმარების უნარი.

2. დამტკიცდეს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისათვის სავალდებულო პროგრამა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების ცოდნის სფეროში, დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზ. ხმალაძე**

დანართი №1

პროგრამა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების ცოდნის სფეროში

საქართველოს კონსტიტუცია:

1. საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმა;
2. ადგილობრივი თვითმმართველობა;
3. საქართველოს პარლამენტის სტატუსი, არჩევის წესი და უფლებამოსილებები;
4. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი, არჩევის წესი და უფლებამოსილებები;
5. საქართველოს მთავრობის სტატუსი, ფორმირების წესი და უფლებამოსილებები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება;
2. თვითმმართველი ერთეულის ცნება;
3. სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულება თვითმმართველობის სფეროში;
4. თვითმმართველი ერთეულის სტატუსი;
5. თვითმმართველი ერთეულის შექმნა და გაუქმება;
6. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეები;
7. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები;
8. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები;
9. საკრებულოს არჩევის წესი;
10. საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილება;
11. საკრებულოს სხდომის მუშაობის ორგანიზება;
12. საკრებულოს კომისიები;
13. საკრებულოს ბიურო;
14. საკრებულოს ფრაქცია;
15. საკრებულოს წევრის სტატუსი;

16. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის წესი;
17. საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები;
18. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
19. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;
20. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე;
21. გამგეობა;
22. გამგებლის სტატუსი, მისი თანამდებობაზე დანიშვნის წესი;
23. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
24. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი;
25. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები;
26. თვითმმართველი ერთეულის ქონება;
27. ადგილობრივი შესყიდვა;
28. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი პრინციპები;
29. საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიციირება პეტიციის წესით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი:

1. საჯარო სამსახურის ცნება და სახეები;
2. საბიუჯეტო დაწესებულების ცნება;
3. საჯარო მოსამსახურის ცნება და სახეები;
4. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისათვის სამსახურში მისაღებად დადგენილი ძირითადი მოთხოვნები;
5. პირები, რომლებიც არ მიიღებიან საჯარო სამსახურში;
6. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
7. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის სამსახურის ვადა;
8. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დანიშვნა კონკურსის წესით;
9. ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურის ხელფასი;
10. სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი;
11. საჯარო მოსამსახურის სამუშაო დრო და დასვენების დრო;
12. საჯარო მოსამსახურის შვებულება;
13. მოხელის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა ან თანამდებობრივად გაუთვალისწინებელი დავალების მიცემა;
14. საჯარო სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი და მოსამსახურის საპენსიო უზრუნველყოფა;
15. საჯარო მოსამსახურის უფლებები და გარანტიები;
16. მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობები;
17. მოსამსახურის მიერ სამართლებრივი აქტების დაცვის ვალდებულება;
18. განკარგულებები, რომელთა გაცემაც არ შეიძლება;
19. სამსახურში არმყოფი მოხელის მოვალეობათა შესრულება;
20. საქმისწარმოებისა და ქონების გადაცემის ვალდებულება;
21. საიდუმლოების დაცვის ვალდებულება;
22. სამეწარმეო და პარტიული საქმიანობის შეზღუდვები;
23. სამსახურებრივი შეუთავსებლობა;
24. დაწესებულების შინაგანაწესის შინაარსი;
25. საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები, ქცევის ზოგადი წესები საჯარო ინფორმაციის გაცემისა და გამოყენებისას, ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში, კორუფციული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად;
26. საჯარო მოსამსახურის წახალისების ფორმები;
27. მოხელის სამსახურებრივი დაწინაურების წესი;

28. დისციპლინური გადაცდომის ცნება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნა;

29. მოხელის ატესტაციის ცნება, ატესტაციას დაქვემდებარებული პირები, ატესტაციის ჩატარების წესი;

30. მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობების შეჩერების საფუძვლები;

31. მოხელის სამსახურიდან ჩამოშორება;

32. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები;

33. მოხელის გაფრთხილება გათავისუფლების შესახებ და სამსახურიდან გათავისუფლების კომპენსაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ადმინისტრაციული ხელშეკრულების, განცხადების, ადმინისტრაციული საჩივრის ცნებები;

2. ადმინისტრაციული წარმოების, ადმინისტრაციული ორგანოს, დაინტერესებული მხარის ცნებები;

3. საჯარო ინფორმაციისა და საიდუმლო ინფორმაციის ცნებები, ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია;

4. საჯარო რეესტრი, საჯარო ინფორმაციის გაცემა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, აღმასრულებელი პრივილეგია;

5. პერსონალური ინფორმაციის დამუშავების წესი;

6. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა და რეკვიზიტები;

7. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება;

8. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა;

9. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადების, ოფიციალური გაცნობის და გამოქვეყნების წესები;

10. შეცდომების გასწორება ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში;

11. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

12. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

13. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება;

14. ადმინისტრაციული წარმოების სახეები, ადმინისტრაციული წარმოების მხარეები;

15. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძვლები;

16. განცხადების შეტანა, განცხადების შინაარსი, განცხადების რეგისტრაცია, ერთსა და იმავე საკითხზე ხელახალი განცხადების წარდგენის წესი;

17. განცხადების გადაგზავნა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის;

18. განცხადების განუხილველად დატოვება;

19. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ წარმოებაში;

20. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობის საფუძვლები, აცილების განცხადება;

21. ადმინისტრაციული წარმოების ვადები. გაშვებული ვადის აღდგენის საფუძვლები;

22. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, დაინტერესებული მხარის უფლებები;

23. საქმის გარემოებათა და მტკიცებულებათა გამოკვლევა ადმინისტრაციულ წარმოებაში;

24. ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების ვადები;

25. ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში (საკრებულო, საკრებულოს კომისია);

26. კოლეგიური ორგანოს ნორმატიული აქტის პროექტის გამოქვეყნების წესი;

27. საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში.